السنّة النبوية وعلومها
www.sunnah.global

# ჭეშმარიტად, მე მაწყევარად არ წარმოვგზავნილვარ, არამედ მე წყალობად წარმოვიგზავნე

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულს უთხრეს: ო, ალლაჰის შუამავალო, დასწყევლე მუშრიქები, მან თქვა: «ჭეშმარიტად, მე მაწყევარად არ წარმოვგზავნილვარ, არამედ მე წყალობად წარმოვიგზავნე».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისურვეს, რომ დაეწყევლა მუშრიქები, მან კი თქვა: მე ალლაჰისგან იმისთვის არ წარმოვგზავნილვარ და არ მოვსულვარ, რომ დავწყევლო ადამიანები, ვისურვო მათი განდევნა ალლაჰის წყალობიდან და მოვკვეთო ისინი სიკეთიდან, ჭეშმარიტად, მე ამისთვის არ წარმოვგზავნილვარ, არამედ მე წარმოვიგზავნე, რომ გავხდე ზოგადად ყველა ადამიანის სიკეთის და წყალობის მიზეზი, განსაკუთრებით კი მორწმუნეების.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/66272

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee